ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი
საქართველო

სექტემბერი 2019

მერის მიმართვა

2018 წლის აპრილში, ევროკავშირის ინიციატივაზე „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ხელმოწერით, გავიზიარე ის პასუხისმგებლობა და ვალდებულება რომელსაც აღნიშნული ინიციატივა ითვალისწინებს. ჩემი, როგორც მუნიციპალიტეტის მერის მიზანია აქტიურად შევუწყო ხელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რისი მიღწევაც შესაძლებელია როგორც რესურსების გაძლიერებით, ასევე, კერძო სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობით. გამომდინარე იქიდან, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობა და ეკონომიკური სიძლიერე ჩემთვის პრიორიტეტია, მზად ვარ გამოვიყენო მუნიციპალიტეტში არსებული ყველა შესაძლო რესურსი დასახული მიზნის მისაღწევად.

ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია კერძო და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობა, პარტნიორი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავსახოთ და განვახორციელოთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური გაძლიერებისთვის საჭირო ქმედებები.

ჩვენს მიერ შედგენილი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებით მოგვცემს საშუალებას სისრულეში მოვიყვანოთ გეგმაში ასახული ხედვა და მიზნები, რათა მუნიციპალიტეტი გახდეს საცხოვრებლად, სამუშაოდ და ინვესტიციების განსახორციელებლად მიმზიდველი ადგილი. 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ნაწილი ბიზნეს სექტორიდან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მოძიებული ინვესტიციებით.

მადლობას ვუხდი ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სამდივნოს, მუნიციპალიტეტის მერიის, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, მოსახლეობას, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში. გამოვთქვამ იმედს, რომ კერძო სექტორის აქტიური ჩართულობით და მათთან ურთიერთთანამშრომლობით მივაღწევთ დასახულ მიზანს.

მზად ვარ 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში პირადად მივიღო მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, კერძო სექტორთან და დონორებთან ერთად, რათა ეფექტურად შესრულდეს დაგეგმილი ღონისძიებები.

პატივისცემით,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი
გიორგი ერბოწონაშვილი.

გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას
სახელი: ნინო ონაშვილი
თანამდებობა: II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ეკონომიკური განვითარების საკითხებში
მისამართი: ქ.საგარეჯო, აღმაშენებლის ქუჩა N 9 ტელეფონი: +995 599 13 03 87
ელ-ფოსტა: onashvilinuca@gmail.com
ვებ-ბგვერდი: www.sagarejo.gov.ge

1. მოკლე შეჯამება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა შეიქმნა ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში, ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს სექტორის, სამოქალაქო სექტორის და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობით, რომლის მიზანს წარმოადგენს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მიზანი არსებული მდგომარეობის გაანალიზებით, მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი კეთილდღეობის მიღწევის მხარდამჭერი კონკრეტული ქმედებების დაგეგმვაა. გეგმა ფოკუსირებული და ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რაშიც მნიშვნელოვნად ხელშემწყობი ფაქტორია მუნიციპალიტეტის ხელსაყრელი ადგილმდებარეობა, მდიდარი ბუნებრივი რესურსი (ნავთობი, ბუნებრივი აირი, მირაბილიტი, ქვიშა-ხრეში, თიხა), მრავალფეროვანი და განვითარებული სოფლის მეურნეობა, მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომსახურეობის საშუალებების არსებობა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სიუხვე, მდიდარი კულტურული და არამატერიალური მემკვიდრეობა, ცნობილი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტის უჯარმის და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის არსებობა, ღვინის ქარხნების და მარნების სიმრავლე, მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა.

ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მნიშვნელოვანია ისეთი სისუსტეების დაძლევა, როგორიცაა გრანტებისა და ინვესტიციების ნაკლებობა, საგარეო სამრეწველო ბაზრებზე შეღწევის სირთულე, ადგილობრივი ბიუჯეტის მწირი შემოსავლები, უმუშევრობის მაღალი დონე და მიგრაცია, სოფლის მეურნეობის სექტორში დონორი ორგანიზაციების სიმცირე, ტურისტული ინფრასტრუქტურის არარსებობა, სასტუმროების სიმცირე, ტურისტული საინფორმაციო ცენტრის არარსებობა, არასაკმარისად მოწყობილი ინფრასტრუქტურა, სამეწარმეო განათლების არასათანადო დონე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადასვლის სირთულე, პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე კადრის სიმცირე, მუნიციპალიტეტში სტარტაპერების ხელშემწყობი პროგრამების არარსებობა და სხვა.

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავების დროს პარტნიორებთან ერთად გამოიკვეთა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ხედვა, რომელიც ორიენტირებულია მრავალდარგიანი სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის იმგვარად განვითარებაზე, რომ ხელი შეეწყოს მუნიციპალიტეტის ჩამოყალიბებას საცხოვრებლად, სამუშაოდ და ინვესტიციების განსახორციელებლად მიმზიდველ ადგილად.

ხედვის მისაღწევად განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მთავარი მიზნები: ტურისტული ცნობადობის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, კერძო სექტორისთვის ფინანსებზე წვდომის გაზრდა. გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად საპილოტე გეგმაში გაწერილი ღონისძიებებისთვის სავარაუდო ბიუჯეტი ჯამში შეადგენს 854000 ლარს (269160 ევრო), საიდანაც 32,8% დაფინანსდება მუნიციპალური და სახელმწიფო ბიუჯეტით, კერძო სექტორიდან - 4%, დონორი ორგანიზაციების მიერ - 63%, ხოლო წყვეტა დაფინანსებაში შეადგენს 0,2%. თითოეული პროექტი კონკრეტული, დროში გაწერილი, გაზომვადი და მიღწევადია.

მიზნების მისაღწევი ღონისძიებების შესრულების შედეგად გაიზრდება მუნიციპალიტეტის გრანტებისა და ინვესტიციების რაოდენობა, გაიოლდება სამრეწველო ბაზარზე შეღწევა, გაიზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები, შემცირდება

უმუშევრობის დონე, მოეწყობა ტურისტული ინფრასტრუქტურა, გაიზრდება სასტუმროების და ტურისტების რაოდენობა, გაიზრდება სამეწარმეო განათლების დონე. გეგმა ასევე მოიცავს ღონისძიებებისთვის საჭირო დაფინანსების რაოდენობასა და სავარაუდო წყაროებს და ქმედებების შიდა მინიტორინგის სქემას.

2. სარჩევი

მერის მიმართვა 2

1. მოკლე შეჯამება 3

2. სარჩევი 5

3. დანართები და შემოკლებები 5

4. გეგმის შესავალი 6

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი 6

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი 7

6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი 7
6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური ურთიერთობები 9
6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია 10
6.4. ფინანსების ხელმისაწვდომობა 10
6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა 11
6.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო 12
6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ჩართულობა 13
6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი 13

7. SWOT ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი 14

8. ხედვა და მიზნები 16

9. სამოქმედო გეგმა 17

10. დაფინანსების სქემა 22

11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები 25

3. დანართები და შემოკლებები

დანართები:

დანართი „ა“. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი
დანართი ბ. მუნიციპალიტეტში ეკონომიკური საქმიანობების განაწილება სფეროების მიხედვით
დანართი გ. საწარმოთა კლასიფიკაცია ეკონომიკური საქმიანობის და ზომის მიხედვით
დანართი დ. ადგილობრივი თანამშრომლობის შეფასება
დანართი ე. მზარდი სექტორები (ქვესექტორები) და მათი გამოწვევები
დანართი ვ. ბიზნეს სექტორის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა
დანართი ზ. კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში
დანართი თ. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

შემოკლებები:

REC CAUCASUS - კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი
DMO - დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია

4. გეგმის შესავალი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, მერის ხელმოწერით 2018 წლის მარტში შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ და გამოთქვა მზადყოფნა მჭიდროდ ითანამშრომლოს ბიზნესთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, ჩამოაყალიბოს პარტნიორული ურთიერთობები, ხელი შეუწყოს მდგრად და ინკლუზიურ ადგილობრივ ეკონომიკურ ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის მხარეში. მისი ფართობი შეადგენს 1491 კმ²-ს და აერთიანებს ერთ ქალაქს - საგარეჯოს და 43 სოფელს, მათგან 16 აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი. მოსახლეობის რაოდენობა 2018 წლის 1 იანვრისთვის შეადგენდა 52,4 ათას კაცს, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ბოლო 15 წლის მანძილზე 6,8 ათასი კაცით, ანუ 11,5%-ით არის შემცირებული. მოსახლეობის სიმჭიდროვე შეადგენს 35 კაცს 1კვ.კმ.-ზე. ქალაქ საგარეჯოში ცხოვრობს მოსახლეობის 21,0%. მოსახლეობის 66% ქართველია, 33% - აზერბაიჯანელი. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი - ქალაქი საგარეჯო, თბილისიდან დაშორებულია - 50 კმ-ით (45 წუთის სავალი დროით), თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 30 კმ-ით (35 წუთი სვალი დროით). უახლოესი რკინიგზის სადგურიდან 10 კმ-ით (10 წუთი სავალი დროით). საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ძირითადად განვითარებულია სოფლის მეურნეობა, კერძოდ მარცვლეულის წარმოება, მევენახეობა და მეცხოველეობა. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 1751 კაციდან (2014 წელი) 2573 კაცამდე (2018 წელი) გაიზარდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემდგომი ეკონომიკური განვითარება დიდწილად დამოკიდებულია მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით გეგმაზომიერი აქტივობების განხორციელებაზე, კონკრეტული ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრაზე, რაც გახდა საფუძველი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა წარმოადგენს კერძო და საჯარო სექტორთან მჭიდრო დიალოგით შექმნილ გეგმას, რომელიც ფოკუსირებულია კერძო სექტორის განვითარებაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას ეკონომიკური ზრდა, განვითარება და დასაქმება.

მსგავსი სახის დოკუმენტი მუნიციპალიტეტისთვის პირველად იქნა შემუშავებული და ემსახურება კონკრეტული მიზნების მიღწევას, იგი თანხვედრაშია მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან „საქართველო 2020“, კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014- 2021 და 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამასთან. საპილოტე გეგმაში გაწერილი ღონისძიებებისთვის სავარაუდო ბიუჯეტი ჯამში შეადგენს 854000 ლარს (269160 ევრო), საიდანაც 32,8% დაფინანსდება მუნიციპალური და სახელმწიფო ბიუჯეტით, კერძო სექტორიდან- 4%, დონორი ორგანიზაციების მიერ - 63%, ხოლო წყვეტა დაფინანსებაში შეადგენს 0,2%. თითოეული პროექტი კონკრეტული, დროში გაწერილი, გაზომვადი და მიღწევადია.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავებულია M4EG-ის ძირითადი პრინციპების საფუძველზე, რაც გულისხმობს კერძო, საჯარო და სამოქალაქო პარტნიორობას. სწორედ ამ მიზნით მერის ბრძანებით შეიქმნა 4 კაციანი სამუშაო ჯგუფი და 10 კაციანი პარტნიორობა (6 კაცი და 4 ქალი). სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ოფიცერი. სამუშაო

ჯგუფის შემადგენლობაში შევიდა: 1 წარმომადგენელი კერძო სექტორიდან, 1 წარმომადგენელი ბიზნეს სექტორიდან, 1 წარმომადგენელი არასამთავრობო სექტორიდან და 1 წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის მერიიდან. რომელშიც წარმოდგენილი იყო 1 ქალბატონი და 3 მამაკაცი. პარტნიორობის წევრების უმეტესობა 7 - ადამიანი წარმოადგენს ბიზნეს სექტორს, სამოქალაქო სექტორს - 2, ხოლო ადგილობრივ ადმინისტრაციას - 1 წევრი. გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა ერთობლივი მსჯელობის შედეგად.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შედგენის ძირითად პრინციპებს წარმოადგენდა პროცესების გამჭვირვალება და სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის მაქსიმალური ჩართულობა.

გეგმის შემუშავების პროცესში ჩატარდა 2 შეხვედრა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, რომელსაც ესწრებოდა 42 მოქალაქე სხვადასხვა ეკონომიკური სექტორის მიხედვით შერჩეული სამიზნე ჯგუფიდან, 1 შეხვედრა მუნიციპალიტეტში მომუშავე საჯარო სექტორის და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან, ხოლო 1 შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან. შეხვედრების დროს შეგროვდა ეკონომიკური ანალიზისთვის საჭირო მონაცემები, გამოვლინდა საჭიროებები, შემუშავდა ხედვისა და მიზნების ვერსიები. ასევე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, წინასწარ მომზადებული კითხვარების მიხედვით ჩატარდა კვლევა და გამოიკითხა 500 მოქალაქე, აღნიშნულ პროცესებში სულ ჩართული იყო დაახლოებით 1100 მოქალაქე. აქედან 40%-ს წარმოადგენდნენ ქალბატონები, ხოლო დანარჩენს - მამაკაცები. კვლევის საშუალებით მოგროვილი ინფორმაციაც ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შემდგომში მიზნების და სტრატეგიის ჩამოყალიბებისთვის.

საწყის ეტაპზე ბიზნეს სექტორის მხრიდან დაბალი აქტივობა შეინიშნებოდა რაც გარკვეულწილად განპირობებული იყო საჯარო სექტორთან არასაკმარისი კომუნიკაციით, თუმცა მათთან აქტიური კომუნიკაციის გზით მიღწეულ იქნა პარტნიორული კავშირები და გეგმის შემუშავების პროცესში აქტიური ჩართულობა. მათთან შეხვედრების დროს განხილული იქნა ადგილობრივ და კერძო სექტორებს შორის ურთიერთანამშრომლობის შესაძლებლობები და აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიზნეს სექტორიდან გამოითქვა მზადყოფნა მუნიციპალიტეტში დაფინანსდეს როგორც ახალი საწარმოების მშენებლობა, ასევე მოხდეს სოფლის მეურნეობის მიმართულებით ინვესტიციების განხორციელება. მერის ინიციატივით დამატებით ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა მეღვინეებთან და მევენახეებთან, ფერმერებთან. სამომავლო თანამშრომლობისა და პარტნიორობისთვის დაიგეგმა ღონისძიებები, რომლებიც ასახულია სამოქმედო გეგმაში.

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, მომსახურების და ვაჭრობის სფეროებით. აქედან ბრუნვისა და შემოსავლების გათვალისწინებით ყველაზე პერსპექტიულ და განვითარებად მიმართულებებად ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორები მიიჩნევა.

სოფლის მეურნეობის კუთხით მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის მოცულობას მნიშვნელოვანი წილი უკავია რეგიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. განვითარებულია სოფლის მეურნეობის შემდეგი მიმართულებები: მარცვლეულის წარმოება, რაც რეგიონში სულ წარმოებული მარცვლეულის 12%-ს შეადგენს, მევენახეობა-რეგიონში წარმოებული ყურძნის 15%-მდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში იწარმოება, ასევე მნიშვნელოვანია მეცხოველეობის და მეფრინველეობის მიმართულებები. ერთწლიანი კულტურებიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ძირითადად ითესება

ხორბალი, სამარცვლე სიმინდი, ქერი, მზესუმზირა. მუნიციპალიტეტის ნიადაგი ხელსაყრელია ყურძნის სხვადასხვა ჯიშის გასაშენებლად და გავრცელებულია ყურძნის შემდეგი ჯიშები: რქაწითელი, საფერავი, მანავის მწვანე, განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფელ მანავის ზონა სადაც მოდის ზემოთ აღნიშნული უნიკალური ვაზის ჯიში-მანავის მწვანე, ასევე ხაშმის ზონა-საფერავის ჯიშის ყურძნით. მრავალწლიან კულტურებში გარდა ვენახისა, უკანასკნელ წლებში აქტიურად მიმდინარეობს ნუშის და ე.წ ფისტას ბაღების მასიური გაშენება, რისთვისაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტში შესაბამისი ნიადაგურ-კლიმატური პირობებია. ამჟამად, სოფლის მეურნეობის მიმართულებით ყველაზე ეფექტური, მზარდი, ადგილობრივი კომპანია, მისი სიდიდის და წლიური ბრუნვის მიხედვით არის შ.პ.ს „სითი ლოფტი“ და შ.პ.ს „უდაბნო“ რომლებმაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განახორციელეს დაახლოებით 500 მილიონი ლარის ინვესტიცია და მათ მიერ წარმოებული ნუში, სულ ქვეყანაში წარმოებულ ნუშის მოსავალს 70%-ით გაზრდის. მნიშვნელოვანი წვლილი აქვს დახურულ გრუნტში სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველად წარმოებასაც.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახნავ-სათესი და საძოვარი მიწის ფართობების რაოდენობა კარგ პირობებს ქმნის მეცხოველეობის მიმართულებით მესაქონლეობის, მეცხვარეობის და მეღორეობის განვითარებისათვის. მუნიციპალიტეტში ასევე წარმოდგენილია საქონლის 4 სასაკლაო, 3 მსხვილი და 20 წვრილი მეფრინველეობის ფაბრიკა, რომლებშიც წარმოებული ხორცი უზრუნველყოფს ქვეყნის მასტაბით არსებული ბაზრის დაახლოებით 50%-ს, რაც გამოარჩევს საგარეჯოს მუნიციპალიტეტს რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებიდან, რადგან არც ერთ მუნიციპალიტეტში არ იწარმოება აღნიშნული რაოდენობის სახორცე ქათამი. აღსანიშნავია ასევე, რომ აღნიშნულ ფაბრიკებში წარმოებული კვერცხი უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით წარმოებული კვერცხის 30 %-ს შეადგენს.

ადგილობრივი სტატისტიკური მონაცემებით, 2019 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 760 მოქმედი საწარმო, მათ შორის 16 მსხვილ, 36 საშუალო და 708 მცირე საწარმოდ კლასიფიცირდება. (იხ. დანართი: „ბ“, „გ“). მათ შორის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია 29 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეიქმნა სამაცივრე მეურნეობა, რომელიც გათვლილია როგორც მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბაზარზე, ასევე დედაქალაქის ბაზარზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ასევე წარმოდგენილია მეფუტკრეობის მიმართულება, რისთვისაც არსებობს შესაბამისი კლიმატური, თუმცა საჭიროა დარგის სპეციალისტების გადამზადება და დამატებითი ინვესტიციის განხორციელება მეფუტკრეობაში.

სოფლის მეურნეობის გარდა, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად ვითარდება ტურიზმის სექტორიც. ბოლო სამი წლის განმავლობაში ვიზიტორების რიცხვი 30%-მდე გაიზარდა, რისი ერთ-ერთი განპირობებული ფაქტორია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის და ბალნეოლოგიურ კურორტ უჯარმის (იოდ-ბრომიანი სამკურნალო წყლები) არსებობა, მის გარშემო განვითარებული ტურისტული ობიექტების (55 საწარმო), ღვინის ტურიზმის განვითარებით, კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივ-ეთნოგრაფიული ძეგლების მრავალფეროვნებითა და სიმრავლით. კურორტი „უჯარმა“, თვეში 400 სტუმარს მასპინძლობს, ინვესტირების შემთხვევაში შესაძლებელია მეტი სანატორიუმის გახსნა. ამჟამად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით უჯარმის ციხე-ქალაქის კომპლექსზე ფართომასშტაბიანი სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ციხე-ქალაქის სარესტავრაციო პროექტი სავარაუდოდ 2022 წლისთვის დასრულდება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ვიზიტორთა რაოდენობას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში აქტიურად იკიდებს ფეხს ღვინის ტურიზმი. ყოველწლიურად საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 1,1 ათასი ტონა ღვინო გადამუშავდება. რაც წინა წლებთან შედარებით 40%-ითაა გაზრდილი. საგარეჯო გადის ე.წ „ღვინის გზას“ და ამ მხრივ გამორჩეულია ხაშმი, პატარძეული, საგარეჯო, თოხლიაური, კაკაბეთის და მანავის სოფლები, დღეისათვის 20-მდე მცირე, საშუალო და დიდი ზომის ღვინის საწარმო და საოჯახო მარანი არსებობს, რომელთა პროდუქციაც ყოველწლიურად გადის ექსპორტზე სხვადასხვა ქვეყანაში. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გარდა ადგილობრივებისა, საქმიანობას ეწევიან ევროპელი მეღვინეებიც. ღვინის კულტურის და ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება „ღვინის ფესტივალის“ ჩატარება, სადაც წარმოდგენილი იქნება დიდი და მცირე მარნების მიერ წარმოებული ღვინო და სხვა ალკოჰოლური სასმელები.
სასტუმროს ტიპის მომსახურებას ეწევა 14-ამდე მცირე საოჯახო სასტუმრო, დღიურად 120 საწოლით. ვაჭრობის სფეროში მიმართულია 265 მცირე, 18-საშუალო და 5 მსხვილი ბიზნესი.

6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური ურთიერთობები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ ბიზნეს სუბიექტებსა და მუნიციპალიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის და პარტნიორული ურთიერთობის მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ნაკლები გამოცდილება არსებობს და აგრეთვე, ხშირ შემთხვევაში, პასიურობითაც გამოირჩევა ბიზნეს სექტორი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული სტრუქტურული თანამშრომლობის გამოცდილება სოფლის მეურნეობის კუთხით, მაგალითად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებთან, მათი საქმიანობის ხელშეწყობის კუთხით, ასევე, ტურიზმის მიმართულებით, დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციასთან „DMO“-სთან ერთად ტურიზმის სექტორში ჩართული სუბიექტების ცნობადობის ამაღლების და მათი უნარების გაძლიერების კუთხით, ასევე, სხვადასხვა დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, მაგალითად, როგორც ინფორმაციის გაცვლის, ასევე, გამოცდილების გაზიარების და ერთობლივი პროექტების ინიცირების კუთხით, პარტნიორებთან შეხვედრების გამართვის შედეგად გამოვლინდა, რომ ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია გარკვეული ხედვის/სტრატეგიის არსებობა, რომელიც ასეთი კავშირების განვითარებას შეუწყობს ხელს.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით იმართება რეგულარული შეხვედრები ბიზნეს სექტორთან, ერთგვარი ფორუმის ხასიათის, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტის, ბიზნესის, სოფლის მეურნეობის და კერძო სექტორის წარმომადგენლები. აღნიშნულ ფორუმზე ხდება ბიზნეს გამოცდილების ერთმანეთისთვის გაზიარება, პრობლემების წამოჭრა და მსჯელობა პრობლემების აღმოსაფხვრელად. თანამშრომლობა გარკვეულწილად შემდგარია საოჯახო ღვინის მარნების წარმომადგენლებთან, მუნიციპალიტეტის მერი და მისი წარმომადგენლობა რეგულარულად ხვდებიან მათ და ისახება გარკვეული ერთობლივი ღონისძიებები. მუნიციპალიტეტის და ბიზნეს სექტორის ამ სახის შეხვედრები საშუალებას იძლევა მოიხსნას გარკვეული ბარიერები და ხელს უწყობს კომუნიკაციის გამყარებას, რაც უდიდესი ფაქტორია კერძო სექტორის გაძლიერებისთვის. (იხ. დანართი: „დ“).
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია მზადყოფნას აცხადებს კერძო და საჯარო თანამშრომლობის ჩამოყალიბებაზე, ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლებას, მუნიციპალიტეტის დადებითად პოზიციონირებას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და ფინანსური წყაროების მოზიდვას.

6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია

2014 წლიდან მუნიციპალიტეტის მერიაში საქმისწარმოება ხორციელდება „ერთი ფანჯრის„ პრინციპით, ფოსტით ან ხელზე შეტანილი დოკუმენტი რეგისტრირდება მერიის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში, რაც მაქსიმალურად ამცირებს დროს და გამჭირვალეს ხდის დოკუმენტბრუნვის პროცესს. ელექტრონული საქმისწარმოების სისტემით მუნიციპალიტეტი უკავშირდება ყველა სამთავრობო ორგანიზაციას და სხვა საჯარო დაწესებულებებს. მუნიციპალიტეტში მოქმედებს მერიის დაქვემდებარებაში არსებული გაზეთი, მერიის ვებ-გვერდი და ამასთანავე მერიის ოფიციალური facebook გვერდი, რომლის მესვეობითაც ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ მაქსიმალურად ოპერატიულად შუქდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე სიახლეებზე, განხორციელებულ პროექტებზე, დაგეგმილ აქტივობებზე და ა.შ. მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური ბიზნეს სექტორთან ურთიერთობს მომართვის შემთხვევაში, გასცემს ინფორმაციასა და უწევს კონსულტაციებს ბიზნესის წარმომადგენლებს. მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურში მოქმედებს ქონების მართვის და ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობების და საერთაშორისო პროექტების განყოფილებები. ტურიზმის განყოფილებას ასევე შეთავსებული აქვს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ფუნქცია, თუმცა შეუსაბამო პირობების გამო სათანადოდ ვერ ხორციელდება ტურიზმის ცენტრის მომსახურების მიწოდება. არსებული მდგომარეობის კვლევა აჩვენებს, რომ ბიზნესის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით მცირე და დამწყებ მეწარმეებს უჭირთ საჭირო ინფორმაციის მოძიება და დამუშავება.

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია საკუთარი სატენდერო წინადადების წარდგენა. სატენდერო კომისიის საქმიანობა გამჭვირვალეა და ყველა გადაწყვეტილება იტვირთება სააგენტოს ვებ გვერდზე.

მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გაცემა ან პრივატიზება ხორციელდება ელექტრონული აუქციონის მეშვეობით, საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების მონაცემები თავსდება ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ელექტონულ აუქციონში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები ღიაა მოქალაქეებისთვის, სადაც შესაძლებელია შენიშვნების და ინიციატივების წარდგენა, თუმცა ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან საკრებულოსადმი მიმართვების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. მუნიციპალიტეტში განიხილება საკითხი ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამების შემუშავებაზე. ამასთანავე, აუცილებელია, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუნიციპალიტეტის ცნობადობის ზრდას და ინვესტორების დაინტერესებას, შეირჩეს კერძო სექტორთან თანამშრომლობის და ურთიერთობის ფორმები, გაუმჯობესდეს კომუნიკაცია და ინფორმირებულობა სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ ბიზნესის მხარდამჭერ პროგრამებზე. (იხ.დანართი: „ე“)

6.4. ფინანსების ხელმისაწვდომობა

ფინანსური რესურსების არსებობა და მათზე ხელმისაწვდომობა, ხშირ შემთხვევაში, უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ახალი ან მცირე ბიზნესისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში არსებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი შეძლებისდაგვარად

აწვდის ინფორმაციას ბიზნეს სექტორს სოფლის მეურნეობის კუთხით არსებულ პროექტებზე და გრანტებზე, ბიზნეს სექტორის ჩართულობა მაინც დაბალია და ხშირ შემთხვევაში, მათთვის ინფორმაცია არასაკმარისია. ასევე, სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის პროცედურები გარკვეულწილად ბიუროკრატიულია, ხშირ შემთხვევაში დროში იწელება და კერძო სექტორი არჩევს საკუთარი შეზღუდული რესურსებით განახორციელოს დაწყებული საქმე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები დასაბუთებული მოთხოვნის და საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში გასცემენ სესხებს ბიზნეს და აგროსექტორისთვის. დიდია სახელმწიფო თანამონაწილეობა ბანკების მიერ გაცემულ აგროსესხებში, რაც ხელს უწყობ აგროსექტორის განვითარებას. ამ მხრივ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განსავითარებლად შეღავათიანი აგროკრედიტის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2013-2018 წლებში მუნიციპალიტეტში გაცემული შეღავათიანი აგროკრედიტების მოცულობამ 153,1 მლნ. ლარი შეადგინა და შეღავათიანი აგროკრედიტით 4609 პროექტი დაფინანსდა. პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 23 პროექტი განხორციელდა, ხოლო აღნიშნულ პროექტებში ჯამურად 2 მლნ. 802 ათასი ლარის ინვესტიცია განხორციელდა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო პროგრამის „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი“ ფარგლებში, მხარდაჭერილ იქნა ერთი გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა, რომელშიც ჯამურად 1 მლნ. 387 ათასი ლარის ინვესტიცია განხორციელდა, სადაც დასაქმებულია 9 ადამიანი. მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის (ე.წ. 5000 ლარიანი გრანტები) ფარგლებში მუნიციპალიტეტში სუბსიდიის სახით გაიცა 256 ათას ლარამდე და განხორციელდა 30 პროექტი. ნათლად იკვეთება, რომ კერძო სექტორი არამხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან არსებულ ბიზნესის ხელშემწყობ პროექტებზეა ნაკლებად ინფორმირებული, ასევე ნაკლებადაა ინფორმირებული დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ გრანტებზე. აგროსექტორში ჩართულთა ნაწილისთის ფინანსებზე ხელმისაწვდომობასთან ერთად პრობლემად ვლინდება აგროდაზღვევის საკითხიც, რაც კონკრეტულ გადაწყვეტას საჭიროებს. (იხ.დანართი:,,ვ“).

6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა

ბიზნეს სექტორის მდგრადი და ინკლუზიური განვითარებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს შესაბამისი გარემო, რესურსები და პირობები, რომელიც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. მიწის რესურსების მხრივ საგარეჯოს მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი წამყვანია რეგიონის მასშტაბით, სულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობია - 94382 ჰა. საიდანაც სახნავი მიწის საერთო ფართობი შეადგენს - 29386 ჰა-ს, მრავალწლიანი ნარგავების საერთო ფართი - 5275 ჰა-ს შეადგენს, ხოლო სათიბ მიწას 1407 ჰა უკავია, 42 065 ჰა კი - ტყეს, საძოვრების საერთო ფართი 56884 ჰა-ია, საკარმიდამო მიწის საერთო ფართობი 1430 ჰა-ს შეადგენს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარებასთან ერთად იზრდება მოთხოვნა შენობა-ნაგებობებზე, მიწასა და ინფრასტრუქტურაზე. ბოლო ექვსი წლის მანძილზე კერძო სექტორის მხრიდან გამოითქვა საჭიროება: მიკროკომპანია, ან მეწარმის ინდივიდუალური სამუშაო სივრცე-114 ერთეული, საოფისე ფართი - 54 ერთეული, შენობა-ნაგებობა-50, სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებს მიწის ნაკვეთები-150000 ჰა. მერიის ეკონომიკის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწების იდენტიფიცირებას, დაურეგისტრირებელი მიწების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციას, საკუთრებაში არსებული შენობება-ნაგებობების ინვენტარიზაციას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალურ ქონებასთან ერთად უხვადაა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონებაც და კერძო

სექტორის მხრიდან დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში გარკვეული ქონების გადმოცემა ხდება მუნიციპალიტეტზე, რომლის განსხვისებაც ხდება ინვესტორზე. (დეტალური ინფორმაციისთვის იხ.დანართი: „ზ“).

მუნიციპალიტეტში შექმნილია სასოფლო და არასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ინვენტარიზაციის სამუშაო ჯგუფი, რომელიც აღწერს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებს და ამზადებს საპრივატიზაციოდ ან იჯარით გასაცემად, მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვის ხელშესაწყობად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე მუნიციპალიტეტში დიდია მოთხოვნა კერძო სექტორის მხრიდან. ამასთან აუცილებლობას წარმოადგენს მცირე საწარმო-საოფისე ფართებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, რისთვისაც საწყის ეტაპზე მიზანშეწონილია შემუშავდეს ერთგვარი საინვესტიციო პორტფელი, სადაც თავმოყრილი იქნება მუნიციპალიტეტში არსებული თავისუფალი ქონების რესურსი შესაბამისი დანიშნულების მიხედვით ინვესტიციების განსახორციელებლად.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მუნიციპალიტეტს გააჩნია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლებიც საკმაოდ მაღალმოსავლიანია, როგორც ერთწლიანი ასევე მრავალწლიანი კულტურისთვის. თუმცა უნდა აღინიშნოს მუნიციპალიტეტში არსებული ეროზირებული და დეგრადირებული ნიადაგის არსებობაც, რის აღმოსაფხვრელადაუცილებელიაქარსაფარი ზოლების აღდგენისა და გაუდაბნოების წინაა ღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება. აუცილებელია ასევე აღნიშნული მიწის ნაკვეთების ლაბორატორიული კვლევა რათა სწორად მოხდეს ამა თუ იმ გასაშენებელი კულტურის შერჩევა.

გარდა მიწის რესურსისა და ქონების არსებობისა, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს 2019-2021 წლებისთვის. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა, გარე განათების მოწყობა და რეაბილიტაცია.

6.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო

ბიზნესის კეთების მხრივ ქვეყანაში არსებული მიღწევებისა და გამარტივებული რეგულაციების მიუხედავად, კერძო სექტორთან შეხვედრებმა და მათთან დიალოგმა ცხადჰყო, რომ კვლავ არსებობს გარკვეული ადმინისტრაციული წესები, რომელსაც კერძო სექტორი გვერდს ვერ უვლის და მთლიანობაში აფერხებს მათ მიერ წამოწყებულ ბიზნეს პროცესს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი, რაც კერძო და საჯარო სექტორს შორისაა არის კომუნიკაციის ნაკლებობა და თავისუფალი ინფორმაციის გაცვლა, რაც ნეგატიურად აისახება კერძო სექტორზე, ბიზნესის განვითარებაზე. ადგილობრივ დონეზე არ არსებობს ინსტიტუციური ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ ბიზნესსა და საჯარო სექტორს შორის ურთიერთობის გაღრმავებას. კერძო სექტორის მხრიდან ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა ისეთი მიწის ნაკვეთების საკუთრებაში რეგისტრაცია, რომელსაც ფლობენ ათწლეულების მანძილზე, მაგრამ არ გააჩნიათ საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ კუთხით, მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფოს მიერ გამარტივდეს საკუთრებაში არსებული ფართის დარეგისტრირება, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე, რაშიც შეიძლება ჩაერთოს და დაეხმაროს მუნიციპალიტეტი. ამისათვის საჭიროა, რომ მოხდეს მიწის ნაკვეთების სისტემური აღრიცხვა-რეგისტრაცია. ამასთანავე, მუნიციპალიტეტში არ არსებობს განაშენიანების რეგულირების გეგმა, რაც ართულებს და აფერხებს ამა თუ იმ ტერიტორიაზე სამშენებლო ნებართვების გაცემას

კერძო ბიზნესისთვის. ნაკლებია კოორდინაცია და კომუნიკაცია უწყებებს შორის, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები ჩივიან, რომ სხვადასხვა უწყებები ხშირად ერთი და იგივე საბუთების წარდგენას ითხოვენ. (იხ.დანართი: „თ“)

6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ჩართულობა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტის მსგავსად განიცდის კვალიფიციური კადრის ნაკლებობას. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური აქტივობის ორივე მიმართულებით, როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე, ტურიზმის მიმართულებით სპეციალიზირებული კადრების დეფიციტია და არსებული რესურსები არაა მორგებული ბიზნეს სექტორის საჭიროებებს. ბიზნეს სექტორის განვითარების პარალელურად იზრდება მოთხოვნა კვალიფიციურ კადრზე. მაღალმოთხოვნადია ისეთი კადრები, როგორიცაა უცხო ენების მცოდნე გიდები, ვეტერინარები, მექანიზატორები, აგრონომები, ფინანსისტები, იურისტები და სხვა სპეციალიზაციის კადრები. კვალიფიციური კადრები ესაჭიროება ყველა სექტორს, მაგრამ იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტში შედარებით დაბალია შრომის ანაზღაურება, შესაბამისად, მაღალია შრომისუნარიანი და კვალიფიციური კადრების გადინება დედაქალაქში და ქვეყნის გარეთ. შრომის ბაზრის რეგულირების კუთხით ინფორმაციის ურთიერთგაცვლის პრობლემაც არსებობს, კერძოდ, მუნიციპალიტეტში არ არსებობს დასაქმების სააგენტო, სადაც დასაქმების მსურველები პირადი კონტაქტებით ან ინტერნეტრესურსებით მოიძიებენ ვაკანსიებს და პირიქით, დამსაქმებლები მოიძიებენ შესაბამისი უნარების კადრს.

კერძო სექტორში დასაქმების მაძიებლები რეგისტრირდებიან სხვადასხვა ელექტრონულ დასაქმების სააგენტოებში, ასეთია ელექტრონული პორტალი www.jobs.ge, სადაც მუნიციპალიტეტიდან რეგისტრირებულია 300-ზე მეტი პირი, გარდა ამისა, უკვე მესამე წელია რაც მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში არსებობს „ქალთა ოთახი“, სადაც ტარდება ტრენინგები და ხდება კონსულტაციების გაწევა იმ ქალბატონებისთვის და უმცირესობის ჯგუფების წარმომადგენლებისთვის, რომელთაც არ აქვთ წვდომა შრომის ბაზარსა და მის დამხმარე სისტემებზე და სურთ საკუთარი ბიზნესის წამოწყება ან კერძო სექტორში დასაქმება.

6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, გეოგრაფიული მდებარეობით, მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიუხვით, კულტურული ღირსშესანიშნაობებით, მიმზიდველია როგორც საცხოვრებლად და სამუშაოდ, ასევე, სოფლის მეურნეობაში და ტურიზმის სექტორში ინვესტიციების განსახორციელებლად. დედაქალაქთან და თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან სიახლოვე სტრატეგიულად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში არსებული ბიზნესის გაფართოებისა და ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის. აღსანიშნავია ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ ბოლო 6 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მასშტაბით სოფლის მეურნეობის და ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით განხორციელებული მსხვილი ინვესტიციები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-რეაბილიტაციის კუთხით განხორციელებული და მიმდინარე პროექტები, სხვადასხვა ხელშემწყობი აქტივობები რაც კიდევ უფრო მიმზიდველს და ხელსაყრელს ხდის გარემოს ბიზნესის განსავითარებლად.

ბოლო წლებში მზარდია სოფლის მეურნეობაში კერძო და სახელმწიფო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციები, რის შედეგადაც გაშენდა ახალი ვენახები, ნუშის და ფისტის ბაღები. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი ცნობილია ღვინით, მათ შორის ადგილწარმოშობის ღვინოებით, რაც კიდევ უფრო განსაკუთრებულს ხდის მევენახეობა-მეღვინეობის სექტორს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ისეთი ცნობილი

ბრენდული ღვინის ქარხნები როგორიცაა „ბადაგონი“ და „კახური ტრადიციული მეღვინეობა“.

ტურიზმის კუთხით, კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობით კიდევ უფრო განვითარდა სოფელ უჯარმის ბალნეოლოგიური კურორტი, რომელიც ყოველწლიურად უამრავ ვიზიტორს მასპინძლობს. ყოველწლიურად იზრდება ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მონახულების მიზნით და ამ ეტაპზე მიმდინარე უჯარმის ციხე კომპლექსის რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული მიზიდულობის ცენტრი გაჩნდება, ასეთივე პოტენციალის მქონეა ცივ-კოდას ტერიტორია, რომელიც ამ ეტაპისთვის მუნიციპალიტეტისთვის ჯერ კიდევ აუთვისებელ ტურისტულ რესურსს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლების კუთხით მნიშვნელოვანია სხვადასხვა საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობა, ამ მიმართულებით, გასულ წელს მუნიციპალიტეტი დაუმეგობრდა ლიეტუვის შირვინტუსის მუნიციპალიტეტს და კიდევ მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვა ქვეყნის ქალაქებთან დამეგობრების საკითხზე.

7. SWOT ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
1. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა (დედაქალაქთან დაშორება, მანძილი საერთაშორისო აეროპორტთან, რკინიგზასთან და საერთაშორისო მნიშვნელობის გზებთან) 2. მდიდარი ბუნებრივი რესურსი (ნავთობი, ბუნებრივი აირი, მირაბილიტი, ქვიშა-ხრეში, თიხა) 3. მრავალფეროვანი და განვითარებული სოფლის მეურნეობა 4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების არსებობა 5. მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო ტექიკის მომსახურეობის საშუალებების არსებობა 6.მდიდარი კულტურული და არამატერიალური მემკვიდრეობა 7. ცნობილი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტის უჯარმის და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის არსებობა 8. ღვინის ქარხნების და მარნების სიმრავლე 9. მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა; 10. ტურისტების ზრდის მაღალი ტენდენცია;	1. გრანტებისა და ინვესტიციების ნაკლებობა 2. საგარეო სამრეწველო ბაზრებზე შეღწევის სირთულე 3. ადგილობრივი ბიუჯეტის მწირი შემოსავლები 4. უმუშევრობის მაღალი დონე და მიგრაცია 5. სოფლის მეურნეობის სექტორში დონორი ორგანიზაციების სიმცირე 6. ტურისტული ინფრასტრუქტურის არარსებობა 7. სასტუმროების სიმცირე 8. ტურისტული საინფორმაციო ცენტრის არარსებობა 9. არასაკმარისად მოწყობილი ინფრასტრუქტურა. 10. სამეწარმეო განათლების არასათანადო დონე. 11. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადასვლის სირთულე 12. პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე კადრის სიმცირე 13. მუნიციპალიტეტში სტარტაპერების ხელშემწყობი პროგრამების არარსებობა 14. ტურისტულ შესაძლებლობებზე დაბალი ცნობადობა
შესაძლებლობები	საფრთხეები

1. ~~დონორი ორგანიზაციების მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა~~ 2. მიტოვებული შენობა-ნაგებობებისა და ტერიტორიების გამოყენება საინვესტიციო პროექტებისთვის 3. განხორციელებული ინვესტიციების გაზრდა სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორში 4. სოფლის მეურნეობის კუთხით წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის გაზრდა 5. ადგილობრივად წარმოებულ პროდუქციაზე ცნობადობის გაზრდა 6. მუნიციპალური ქონების გამოყენების შესაძლებლობის გაზრდა ბიზნეს სექტორისთვის 7. ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების გაზრდა 8. ტურისტული ნაკადების გაზრდა და მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე 9. კერძო სექტორისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სხვადასხვა ხელშემწყობ პროექტებში მონაწილეობა 10. ადგილობრივი მეწარმეების უნარების განვითარება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა	1. სტიქიური მოვლენები 2. ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების გავრცელება 3. ინფექციური დაავადებების გავრცელების საფრთხე 4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დეგრადაცია

კერძო სექტორთან და პარტნიორებთან დისკუსიამ, სხვადასხვა სახის კვლევამ ნათლად წარმოაჩინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ის ძლიერი მხარეები და შესაძლებლობები, რომლებიც მიმართული უნდა იქნას სუსტი მხარეების დასაძლევად. ძლიერი მხარეები, მათ შორის დედაქალაქთან და საერთაშორისო აეროპორტთან სიახლოვე, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, მდიდარი ბუნებრივი და აგრარული რესურსები, მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებთან ერთად, როგორიცაა დონორი ორგანიზაციების მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის სპეციალური პროგრამების ინიცირება, მიტოვებული შენობა-ნაგებობებისა და ტერიტორიების გამოყენების მუნიციპალური პროგრამები, მეზობელ მუნიციპალიტეტებთან და რეგიონებთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარების ხელშეწყობა, შეღავათიანი აგრო-კრედიტისა და დაზღვევის პროგრამების საკოორდინაციო მხარდაჭერა, ბიზნესის წამოწყების ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მიტოვებული შენობა-ნაგებობებისა და ტერიტორიების ეფექტიანი გამოყენება სხვა აქტივობებთან ერთად აუცილებელია მიმართული იქნას ისეთი ღონისძიებების განსახორციელებლად, რომლებიც ადგილობრივი ძლიერი მხარეების გათვალისწინებით მოახდენენ სუსტი მხარეების დაძლევას.

ქმედებები მიმართული უნდა იყოს იმ ძირითადი სისუსტეების დასაძლევად რომელიც სიტუაციური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა: მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინვესტიციებისა და გრანტების სიმცირე, საგარეო სამრეწველო ბაზრებზე შეღწევის სირთულე, ადგილობრივი ბიუჯეტის მწირი შემოსავლები, უმუშევრობის მაღალი დონე და მიგრაცია, სოფლის მეურნეობის სექტორში დონორი ორგანიზაციების სიმცირე, ტურისტული ინფრასტრუქტურის არარსებობა, სასტუმროების სიმცირე, ტურისტული საინფორმაციო ცენტრის არარსებობა, არასაკმარისად მოწყობილი ინფრასტრუქტურა, სამეწარმეო განათლების არასათანადო დონე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადასვლის სირთულე, პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე

კადრის სიმცირე, მუნიციპალიტეტში სტარტაპერების ხელშემწყობი პროგრამების არ არსებობა.

8. ხედვა და მიზნები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ეფექტურად განხორციელების შედეგად გახდება: მიმზიდველი ადგილი როგორც საცხოვრებლად და სამუშაოდ, აგრეთვე, მრავალდარგიანი სოფლის მეურნეობისა და ტურისტული მიმართულებით ინვესტიციების განსახორციელებლად.

ხედვა განხორციელებადია და სასურველი შედეგის მიღწევა შესაძლებელი იქნება ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო სექტორის, სახელმწიფო უწყებების, სამოქალაქო სექტორისა და დონორი ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით.

მიზნები:
1. ტურისტული ცნობადობის გაუმჯობესება;
2. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა;
3. კერძო სექტორისთვის ფინანსებზე წვდომის გაზრდა.

9. სამოქმედო გეგმა

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა მომზადდა სამუშაო ჯგუფის, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რომელიც მიმართულია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების და დასაქმების ხელშეწყობაზე. სამოქმედო გეგმაში გაწერილი ქმედებების განხორციელებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის მერია და მისი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები: ეკონომიკური განვითარების და ქონების მართვის სამსახური; იურიდიული სამსახური; ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, და არქიტექტურის სამსახური; საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

თემატური ბლოკები	ძირითადი მიზნები	ქმედებები/ პროექტის იდეები	ხანგრძლივობა (დაწყება/ დამთავრება)	მონაწილე პარტნიორები	სავარაუდო ღირებულება (ეროვნულ ვალუტაში & ევროს ეკვივალენტი	მყისიერი შედეგი (პროდუქტი) ინდიკატორები და მიზნები	საბოლოო შედეგი/ ინდიკატორები და მიზნები
გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	1.ტურისტული ცნობადობის გაუმჯობესება	1.1. ინფო ტურის ჩატარება ტურისტული სააგენტოებისთვის, კულტურული და ტურისტული ობიექტების შესახებ საინფორმაციო ბანერების განთავსება, ტურისტული ნიშნულების და ბუკლეტების დამზადება, ტურისტული ბილიკების მარკირება	02/2020-02/2021	მუნიციპალიტეტის მერია	4500 ლარი, 1451 ევრო	ჩატარებული „მედია ტური“, განთავსებული საინფორმაციო ბანერები და ტურისტული ნიშნულები, დამზადებული ბუკლეტები, მარკირებული ტურისტული ბილიკები	გაზრდილია მუნიციპალიტეტში ტურისტების რაოდენობა 25%-ით, ტურისტულ ადგილებში ტურისტებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია აღნიშნული ადგილების შესახებ, გაადვილებულია გადაადგილება ტურისტულ ბილიკებზე
		1.2. ღვინის ფესტივალის ჩატარება	08/2021-09/2021	მუნიციპალიტეტის მერია/ბიზნეს სექტორი	38000 ლარი 12258 ევრო	ჩატარებული ღვინის ფესტივალები	გაზრდილია ცნობადობა ადგილობრივად წარმოებულ ღვინოზე 40%-თ, გაზრდილია გაყიდული ღვინის ბოთლის რაოდენობა და ღვინის წარმოების სექტორით დაინტერესებულ ინვესტორთა რაოდენობა 20%-ით,

							გაიზარდა ღვინის ტურიზმით დაინტერესებულთა რაოდენობა 20%-ით
		1.3 აგრო-ტურისტული ფესტივალის ჩატარება სოფელ უდაბნოში	08/2021-09/2021	მუნიციპალიტეტის მერია	14000 ლარი 4545ევრო	ჩატარებულია აგრო-ტურისტული ფესტივალი	გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა20%-ით, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის და საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულები არიან დაინტერესებული ინვესტორები, გაზრდილია ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის გაყიდვები15%-ით
		1.4 „იმოგზაურე გარე კახეთში“- საიმიჯო ვიდეო რგოლის შექმნა	09/2020-10/2020	დონორი ორგანიზაცია	2500ლარი 811 ევრო	გადაღებულია საიმიჯო ვიდეო რგოლი „იმოგზაურე გარე კახეთში“	გაზრდილია ცნობადობა ტურისტულ ობიექტებზე15%-ით, როგორც შიდა ასევე საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე, გაზრდილია მუნიციპალიტეტის გარე პოზიციონირება და საინვესტიციო მიმზიდველობა, გაზრდილია ტურისტების ინტერესი, გაზრდილია ტურისტული ნაკადები-50%-ით
		1.5 ადგილობრივი დღესასწაული „გარეჯობა“-ს მოწყობა ყოველწლიურად	04/2020-05/2020	მუნიციპალიტეტის მერია/ბიზნეს სექტორი	25000 ლარი 8064 ევრო	ჩატარებულია ადგილობრივი დღესასწაული „გარეჯობა“	გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა, გაუმჯობესებულია ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გაზრდილია ცნობადობა ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე 15%-ით

		1.6 ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში და ფესტივალებში მონაწილეობა	04/2021-05/2021	DMO, მუნიციპალიტეტის მერია	400000 ლარი 129032 ევრო	მონაწილეობის მიღება მიღებულია გამოფენა-ბაზრობებში, ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება	გაზრდილია მუნიციპალიტეტის ცნობადობა საერთაშორისო ბაზარზე, გაზრდილია მუნიციპალიტეტის გარე პოზიციონირება და საინვესტიციო მიმზიდველობა, გაზრდილია ინვესორთა ინტერესი/დამეგობრებულ ქალაქებთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგად განხორციელებული პროექტების რაოდენობა,ექსპორტისთვის განკუთვნილი პროდუქციის რაოდენობა
		1.7 ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი გზების მოწყობა-რეაბილიტაცია, ცივ-გომბორის გადმოსახედის მოწყობა, უჯარმის ციხის რეაბილიტაცია, ჩაილურის ციხის ტერიტორიაზე ტურისტული კომპლექსის მოწყობა.	02/2020-12/2020	მუნიციპალიტეტის მერია, სახელმწიფო, ბიზნეს სექტორი	100 000 ლარი 30303 ევრო	მოწყობილია ტურისტულ ობიეტებთან მისასვლელი გზები, ცივ-გომბორის გადმოსახედი, რეაბილიტირებულია უჯარმის ციხე, მოწყობილია ჩაილურის ციხის მიმდებარედ ტურისტული კომპლექსი/ რეაბილიტირებული გზების და მოწყობილი ტურისტული ობიექტების რაოდენობა	გაუმჯობესებულია ტურისტული ინფრასტრუქტურა, გაზრდილია ტურისტების ნაკადი, გაზრდილია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გაზრდილია ინვესტიციები გაუმჯობესებულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა
2. უნარები და ადამიანური კაპიტალი 3. მიწა და ინფრასტრუქტურა	2. სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	2.1.აგროსექტორის წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება, აგროსექტორის ხელშეწყობა დარგის სპეციალისტების (აგრონომები, მექანიზატორები)გადამზადების გზით, (სასწავლო-სამუშაო	072021-08/2021	მუნიციპალიტეტის მერია/დონორი	10000 ლარი 3030ევრო	ჩატარებულია სასწავლო შეხვედრები, ამაღლებულია ცნობიერება, გადამზადებულია აგროსექტორში მომუშავე და დასაქმებული პირები / ჩატა-რებული სასწავლო შეხვედრების რაოდენობა ,აგროსექტორში მომუშავე და დასაქმებული პირების რაოდენობა ,მონაწილე პირთა ოდენობა	გაზრდილი კვალიფიციური კადრი აგროსექტორში 10%-ით. დასაქმების შესაძლებლობის ზრდა, აგროსექტორის სფეროში გაზრდილი კვალიფიციური კონსულტანტების რაოდენობა, კვალიფიციური კონსულტაციების მიღების შესაძლებლობის გაზრდა

		ტრენინგების ჩატარება)					
		2.2ქარსაფარი ზოლები ს აღდგენისა და გაუდა ბნოების წინააღმდეგ ბ რძოლის ღონისძიებებ ის განხორციელება	02/2020-09/2021	REC CAUCASUS	150000 ლარი 45454 ევრო	გაშენებული ქარსაფარი ზოლები, გაუდაბნოების წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებები	გაზრდილია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სარგებლის მიღების შესაძლებლობები, გაუმჯობესებულია დეგრადირებული ნიადაგის მდგომარეობა, გაზრდილია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა 30%-ით
3. უნარები და ადამიანური კაპიტალი წვდომა ფინანსებზე	3. კერძო სექტორის თვის ფინანსებ ზე წვდომის გაზრდა	3.1 კერძო სექტორის, (დამწყები ფერმერებისთვის) წარმომადგენელთათვ ის, სასწავლო-სამუშაო შეხვედრების ჩატარება, საგრანტო-საინვესტიციო პროექტების მომზადების მიზნით	11/2020-12/2020	მუნიციპალიტეტ ის მერია	10000ლარი 3030 ევრო	ჩატარებული სასწავლო-სამუშაო ტრენინგები კერძო სექტორის წარმოადგენელთათვის	ამაღლებულია კერძო სექტორის წარმომადგენელთა კვალიფიკაცია, გაზრდილია კერძო სექტორის წარმომადგენელთა, ფერმერთა ცნობიერება 15%-ით საგრანტო - საინვესტიციო პროექტების კუთხით, გაზრდილია მუნიციპალიტეტში კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა
		3.2. სასწავლო-შემეცნებითი ტური გრანტით დაფინანსებულ და ინვესტიცია განხორციელებულ გადამამუშავებელ და შემნახველ საწარმოებში	09/2020-10/2020	მუნიციპალიტეტ ის მერია	5000ლარი 1515ევრო	ჩატარებულია სასწავლო-შემეცნებითი ტურები კერძო სექტორისთვის, დამწყები ფერმერებისთვის	გაზრდილია კერძო სექტორის წარმომადგენელთა კვალიფიკაცია, გაზრდილია კერძო სექტორის წარმომადგენელთა ცნობიერება საგრანტო -საინვესტიციო პროექტების კუთხით, გზრდილია კერძო მეწარმეთა შემოსავლები, გაზრდილია გრანტები და ინვესტიციები კერძო სექტორში, გაზრდილია სამუშაო ადგილები და დასაქმება / კვალიფიციებული კერძო სექტორის წარმომადგენელთა რაოდენობა, მოზიდული გრანტების და ინვესტიციების რაოდენობა, კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა

		3.3 პოლონეთის გამოცდილების გაზიარებით ადგილობრივ დონეზე საინვესტიციო საკითხებზე შესაძლებლობების განვითარება	11/2019-11/2020	საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და პოლონეთის ინვესტიციებისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო/საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია	45000ლარი 14516 ევრო	ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები, გაწეულია, ექსპერტების დახმარება,გამოცდილების გაზიარების მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე	გაზრდილია ადგილობრივ დონეზე საინვესტიციო საკითხებზე შესაძლებლობები, მომზადებულია საინვესტიციო შეთავაზება და საინვესტიციო პაკეტები
		3.4 საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმის ჩატარება ინვესტიციების მოზიდვის მიზნით	11/2020-05/2020	სახელმწიფო ბიუჯეტი, მუნიციპალიტეტის მერია, კერძო	50000ლარი 15151ევრო	ჩატარებულია საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმი	გაზრდილია ცნობადობა მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ და მოზიდული ინვესტიციების რაოდენობა

10. დაფინანსების სქემა

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმაში გაწერილი ქმედებების საორიენტაციო ბიუჯეტია 854 000 ლარი (269 160 ევრო). აქედან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაიხარჯება-227 500 ლარი (71165 ევრო), მაღალი დონის ბიუჯეტიდან 40000 ლარი (12121 ევრო) ბიზნესის წილი იქნება 39000 ლარი (12188 ევრო) ხოლო დონორის თანადაფინანსება - 545000 ლარი (172873 ევრო) წყვეტა დაფინანსებაში-2500 ლარი (811 ევრო). ქმედებებს შორის თანხების განაწილება შეესაბამება გეგმაში გაწერილი ღონისძიებების ღირებულებას და მიმართულია გეგმით გაწერილი მიზნების შესასრულებლად.

ღონისძიებები	საორიენტაციო ღირებულება	დაფინანსების წყარო				წყვეტა დაფინანსებაში	შენიშვნები
		ადგილობრივი ბიუჯეტი	მაღალი დონის ბიუჯეტი	ბიზნესი	დონორები		
1. "მედია ტური" ინფო ტურის ჩატარება ტურისტული სააგენტოებისთვის, კულტურული და ტურისტული ობიექტების შესახებ საინფორმაციო ბანერების განთავსება, ტურისტული ნიშნულების და ბუკლეტების დამზადება, ტურისტული ბილიკების მარკირება	4500 ლარი 1451 ევრო	4500 ლარი, 1451ევრო					
2. ღვინის ფესტივალის ჩატარება	38 000 ლარი 12 258 ევრო	24 000ლარი 7741 ევრო		14 000 ლარი 4516 ევრო			
3. აგრო-ტურისტული ფესტივალის ჩატარება სოფელ უდაბნოში	14 000 ლარი 4545 ევრო	14 000 ლარი 4545 ევრო					
4. „იმოგზაურე გარე კახეთში“- საიმიჯო ვიდეო რგოლის შექმნა	2500 ლარი 811 ევრო					2500ლარი 811 ევრო	
5. ადგილობრივი დღესასწაული „გარეჯობა“ მოწყობა	25000ლარი 8064 ევრო	20 000 ლარი 6452 ევრო		5000 ლარი 1612 ევრო			
6. ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში და ფესტივალებში მონაწილეობა	400000ლარი, 129032ევრო	50 000 ლარი 16 129ევრო			350 000ლარი, 112 903 ევრო(DMO)		

7. ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი გზების მოწყობა-რეაბილიტაცია, ცივ-გომბორის გადმოსახედის მოწყობა, უჯარმის ციხის რეაბილიტაცია, ჩაილურის ციხის ტერიტორიაზე ტურისტუ;ლი კომპლექსის მოწყობა.	100 000 ლარი 30 303 ევრო	40 000 ლარი 12 121ევრო	40 000 ლარი 12 121 ევრო	20000 ლარი 6060 ევრო			
8. აგროსექტორის წარმომად-გენელთა ცნობიერების ამაღლება, აგროსექტორის ხელშეწყობა დარგის სპეციალისტების გადამზადების გზით, (სასწავლო-სამუშაო ტრენინგების ჩატარება)	10 000 ლარი 3030 ევრო	10 000 ლარი 3030 ევრო					
9. REC CAUCASUS ქარსაფარი ზოლების აღდგენისა და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება.	150 000 ლარი 45454 ევრო				150000ლარი 45454 (REC CAUCASUS)		
10. კერძო სექტორის წარმომადგენელთათვის, სასწავლო-სამუშაო შეხვედრების ჩატარება , საგრანტო-საინვესტიციო პროექტების მომზადების მიზნით	10 000 ლარი 3030 ევრო	10 000 ლარი 3030 ევრო					
11. სასწავლო-შემეცნებითი ტური გრანტით დაფინანსებულ ინვესტიცია განხორციელებულ საწარმოებში	5 000 ლარი 1515 ევრო	5 000 ლარი 1515 ევრო					
12. პოლონეთის გამოცდილების გაზიარებით ადგილობრივ დონეზე საინვესტიციო საკითხებზე შესაძლებლობების განვითარება	45000ლარი 14516 ევრო				45000 ლარი 14516 ევრო (პოლონეთის ინვესტიციებისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო)		
13. საერთაშორისო, საინვესტიციო, რეგიონული ფორუმის ჩატარება ინვესტიციების მოზიდვის მიზნით	50 000ლარი 15151ევრო	50 000 ლარი 15 151 ევრო					
ჯამი	854 000 ლარი 269 160ევრო	227 500 ლარი 71165 ევრო	40 000 ლარი 12 121 ევრო	39000ლარი 12188 ევრო	545000ლარი	2500ლარი 811 ევრო	

					172873ევრო		

11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმის შიდა მონიტორინგი განხორციელდება შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ, რომელიც შეიქმნება მუნიპალიტეტის პარტნიორობის წევრებისგან და ზედამხედველობას გაუწევს გაწერილი ქმედებების შესრულებას შესაბამის ვადებში.

ქმედება	*ბანგრძლივობა (დაწყება/ დასრულება)*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 1-6*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 7-12*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 13-18*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 19-24*
1. "მედია ტური" ინფო ტურის ჩატარება ტურისტული სააგენტოებისთვის, კულტურული და ტურისტული ობიექტების შესახებ საინფორმაციო ბანერების განთავსება, ტურისტული ნიშნულების და ბუკლეტების დამზადება, ტურისტული ბილიკების მარკირება	02/2020-02/2021	შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, ინფო ტურში მონაწილე ტურისტული სააგენტოების შესარჩევად, აღირიცხა მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული და ტურისტული ობიექტები	ინფოტურისთვის ჩამოყალიბდა მიზნობრივი ჯგუფი(ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლები და ჯურნალისტები),რომლებიც გაეცნობიან მუნიციპალიტეტის ნაკლებად ცნობად ტურისტულ ობიექტებს, შეირჩა ადგილები, სადაც განთავსდება ტურისტული ნიშნულები და საინფორმაციო ბანერები	დაიგეგმა და შედგა ინფოტურის ფარგლებში დასათვალიერებელი ობიექტების ნუსხა, დამზადდა ბუკლეტები,რომელზეც დატანილია საგარეჯოს ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტები.	ინფო ტურის ფარგლებში ჟურნალისტებმა და ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებმა მოინახულეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნაკლებად ცნობადი ტურისტული ობიექტები, ტურისტულ სააგენტოებს და სხვა დაინტერესებულ სეგმენტს მიეწოდათ ბუკლეტები.
2. ღვინის ფესტივალის ჩატარება	08/2021-09/2021	შეიქმნა ღვინის ფესტივალის მოსაწყობად კონცეფცია	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ღვინის ფესტივალისთვის შეირჩა ღვინის ქარხანა-მარნები და საოჯახო მარნები,რომლებიც წარმოადგენენ საკუთარ პროდუქტს.	დაიწყო ღვინის ფესტივალისთვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების მოგვარება	ჩატარდა ღვინის ფესტივალი,სადაც ქარხანა-მარნებმა და საოჯახო მარნებმა წარმოადგინეს საკუთარი პროდუქტი.
3. აგრო-ტურისტული ფესტივალის ჩატარება სოფელ უდაბნოში	08/2021-09/2021	შეიქმნა საორგანიზაციო ჯგუფი, ჩამოყალიბდა აგრო-ტურისტული ფესტივალის კონცეფცია	შეირჩა ფესტივალზე დასასწრები და წარმოსადგენი ადგილობრივი	მოგვარდა ტექნიკური და საორგანიზაციო საკითხება	ჩატარდა ფესტივალი,ადგილობრივი მეწარმეები და კოოპერატივებმა

			მეწარმეები და კოოპერატივები		წარმოადგინეს საკუთარი პროდუქცია : თაფლ, ნერგები, რძის ნაწარმი, ღვინო, ხილ-ბოსტეული.
4. „იმოგზაურე გარე კახეთში“- საიმიჯო ვიდეო რგოლის შექმნა	09/2020-10/2020	შეიქმნა კომისია, რომელმაც კონკურსის სახით უნდა გამოავლინოს ვიდეო რგოლის რეჟისორი,	შერჩეულ რეჟისორთან ერთად ჩამოყალიბდა ხედვა და სტრატეგია ვიდეო რგოლის გადასაღები ადგილმდებარეობის და ხედების შესახებ.საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტურისტული პროდუქტებისა და ღირსშესანიშნაობების წარმოსაჩენად შეირჩა როგორც ბუნებრივი აგრეთვე კულტურული ობიექტები, აგრეთვე ეთნო ტრადიციები , რომლებიც გააცნობს საგარეჯოს ტურისტულ პოტენციალს შიდა და საერთაშორისო ტურისულ ბაზარზე.	მიმდინარეობს ვიდეორგოლის გადაღება და მონტაჟი	გადაღებულია ვიდეო რგოლი, რომელიც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას
5. ადგილობრივი დღესასწაული „გარეჯობა“ მოწყობა	04/2020-05/2020	დაიწერა სცენარი ადგილობრივი დღესასწაული გარეჯობის მოსაწყობად	შეირჩა მონაწილეთა ნუსხა წარმოსადგენი აქტივობები,	მიმდინარეობს დესასწაულისთვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების მოგვარება	სახალხო დღესასწაულ „გარეჯობაზე“ ჩატარდა მრავალფეროვანი ნომრებით დატვირთული კონცერტი, წარიმართა შეჯიბრი ქართული ჭიდაობაში, სხვადასხვა დარგში დამსახურების მქონე და ღვაწლმოსილ ადამიანებს მიენიჭა „საპატიო გარეჯელის“ წოდება“.
6 .ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში და ფესტივალებში მონაწილეობა	04/2021-05/2021	შეირჩა და შეიქმნა ჯგუფი .ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა-	ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრობა-, გამოფენაზე მონაწილეობის	მომზადდა გამოფენაზე წარსადგენი შესაბამისი	მიღებულია მონაწილეობა 2 ღონისძიებაში

		ბაზრობებში და ფესტივალებში მონაწილეობის და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებისთვის დამეგობრებულ ქალაქებთან	მისაღებად განისაზღვრა დამსწრე პირების შემადგენლობა	პროდუქცია საინფორმაციო მასალები	
7. ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი გზების მოწყობა-რეაბილიტაცია, ცივ-გომბორის გადმოსახედის მოწყობა, უჯარმის ციხის რეაბილიტაცია, ჩაილურის ციხის ტერიტორიაზე ტურისტუ;ლი კომპლექსის მოწყობა.	02/2020-12/2020	მომზადებულია საპროექტო-საღარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია,	მიღებულია დაფინანსება რგპფ-იდან, მგფ -დან, მოძიებულია ინვესტორი, ტურისტული კომპლექსის მოსაწყობად.	მიმდინარეობს სამუშაოები	მოეწყო ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი გზები, მოეწყო ცივ-გომბორის გადმოსახედი და ჩაილურის ციხის ტერიტორიაზე ტურისტუ;ლი კომპლექსი. აშენდა სასტუმრო, კვების ობიექტი, ტურისტული დაფა.
8. ..აგროსექტორის წარმომად-გენელთა ცნობიერების ამაღ-ლება, აგროსექტორის ხელშეწყობა დარგის სპეციალისტების გადამზადების გზით,(სასწავლო-სამუშაო ტრენინგების ჩატარება)	07/2021-08/2021	შერჩეულია ტრენერები და სატრენინგო თემა	შერჩეულია აგროსექტორის წარმომად-გენელთა ჯგუფები,	შედგენილია სატრენინგო - სასწავლო პროგრამა,	ჩატარებულია სასწავლო-სამუშაო ტრენინგები , გადამზადებულია დარგის 20 სპეციალისტი
9. REC CAUCASUS - ქარსაფარი ზოლების აღდგენისა და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლი ს ღონისძიებების განხორციელება.	02/2020-09/2021	მუნიციპალიტეტში მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შექმნა	ჩატარებულია მუნიციპალიტეტში მიწის დეგრადაციის გამომწვევი მიზეზების კვლელვა და ანალიზი	შემუშავებულია მიწის დეგრადაციის წინააღმედ მიმართული ბრძოლის გადაუდებელი ღონისძიებების გეგმისა და მუნიციპალური სტრატეგიები	გაშენებულა ქარსაფარი ზოლები, განხორციელებულია გაუდაბნოების წინაარმდეგ ბრძოლის ღონისძიებები
10. კერძო სექტორის წარმომადგენელთათვის, სასწავლო-სამუშაო შეხვედრების ჩატარება , საგრანტო-საინვესტიციო პროექტების მომზადების მიზნით	11//2020-12/2020	შეირჩა ტრენერები და სპეციალისტები სასწავლო-სამუშაო შეხვედრების ჩატარების და საგრანტო-საინვესტიციო	შერჩეულია სამიზნე ჯგუფი და სატრენინგო თემა,მოწვეული სპეციალისტების მიერ.	მიმდინარეობს სასწავლო-სამუშაო შეხვედრების ჩატარება	ჩატარებულია სასწავლო-სამუშაო შეხვედრები. გადამზადებულია კერძო სექტორის 40 წარმომადგენელი

		პროექტების მომზადების მიზნით			
11. სასწავლო-შემეცნებითი ტური გრანტით დაფინანსებულ ინვესტიცია განხორციელებულ საწარმოებში	09/2020-10/2020	შერჩეულია სამიზნე ჯგუფი და გრანტით დაფინანსებული საწარმოები	მიმდინარეობს გრანტით დაფინანსებულ საწარმოებთან მოლაპარაკება ჩასატარებელი ტურების საორგანიზაციო ტურებთან დაკავშირებით	მიმდინარეობს შემეცნებითი ტურების ჩატარება	ჩატარებულია სასწავლო-შემეცნებითი ტური, შედგენილია საცნობარო საინფორმაციო მასალები აღნიშნულ საწარმოებთან და ინვესტიციებთან დაკავშირებით
12.. პოლონეთის გამოცდილების გაზიარებით ადგილობრივ დონეზე საინვესტიციო საკითხებზე შესაძლებლობების განვითარება	10/2020-11/2020	დაიგეგმა პოლონელი ექსპერტების ვიზიტი გამოცდილების გაზიარების მიზნით.	შერჩეულია საპილოტე რეგიონი და რეგიონალური ჯგუფი	მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების ჩატარება, გამოცდილების გაზიარება და ექსპერტების დახმარება მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე საინვესტიციო მიმართულებით მოსამზადებელი დოკუმენტების თუ სხვა ინფორმაციის მომზადებაში.	ჩატარებულია სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები,საინვესტიციო მიმართულებით მოსამზადებელი დოკუმენტების თუ სხვა ინფორმაციის მომზადების მიზნით.
13. საერთაშორისო, საინვესტიციო, რეგიონული ფორუმის ჩატარება ინვესტიციების მოზიდვის მიზნით	05/2020-06/2020	რეგიონულ ჯგუფში ჩართვა	მუნიციპალიტეტის ჭრილში არსებული, პოტენციური , საინვესტიციო პროექტების მოძიება თანამშრომლობა კერძო სექტორთან	ფორუმის საორგანიზაციო საკითხებში ჩართულობა,	ჩატარებული ფორუმი, არსებული ეკონომიკური პოტენციალის გაცნობა. არსებული საპროექტო წინადადებების შეთავაზება და
მთელი ბიუჯეტის დახარჯული % (საორიენტაციო)	%	25%	50%	75%	100%